n 22/366 PX 4683/1

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხაკო წერეთლის, გიორგი კვინიტაძის, ნოე ჟორდანიას და სხვა ცნობილ ემიგრანტთა ხმები (ინტერვიუ, მიმართვები და სხვ.); ვიდეოთეკა – 200 ვიდეოკასეტა (გადაღებულია გ. შარაძის მიერ ცნობილ ემიგრანტებთან); მემორიალური ფონდი – დაცულია ნოე ჟორდანიას, კიტა ჩხენკელის, ვიქტორ ნოზაძის პირადი ნივთები; ფერწერული ტილოები – გრიგოლ რობაქიძის, ირაკლი (კაკი) წერეთლის, გივი კობახიძის პორტრეტები, პეიზაჟები.

მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია განთავსებულია მხატვარ კობა გურულის მიერ შექმნილ სტენდებსა და ვიტრინებში.

მუზეუმის დირექცია

მის.: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 13,
თსუ VIII კორპუსი, IV სართული. ტელ.: +995 322 29-15-53
e-mail: rusokobi@yahoo.com



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ქართული ემიგრაციის მუზეუმი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი დაარსდა 1994 წლის 10 ოქტომბერს ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის გახსნასთან დაკავშირებით. მუზეუმი განთავსებულია თსუ VIII კორპუსში, IV სართულზე. მუზეუმი გაიხსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **გურამ შარაძის** პირადი ფონდის ბაზაზე – 1981 წლიდან მის მიერ მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტიდან ჩამოტანილი ემიგრანტული უნიკალური წიგნები, პერიოდული გამოცემები, ემიგრანტთა პირადი არქივები, ფოტო, აუდიო და ვიდეო არქივები, რადიო „თავისუფლების“ გადაცემების აუდიოკასეტები, ცნობილ ემიგრანტთა მემორიალური



ნივთები, ფერწერული ტილოები, ვიქტორ ნოზაძის პარიზული ქართული სტამბა და ა.შ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ფრაგმენტები საექსპოზიციო დარბაზიდან













მუზეუმის განსაკუთრებულ საგანძურს წარმოადგენს საარქივო ფონდი – 80-ზე მეტი პირადი არქივი (ნაწერები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, პირადი და ოფიციალური დოკუმენტები). დაცულია ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, აკაკი ჩხენკელის, კონსტანტინე კანდელაკის, ევგენი გეგეჭკორის, ვიკტორ ნოზაძის, გრიგოლ რობაქიძის, მიხაკო წერეთლის, ექვთიმე თაყაიშვილის, ზურაბ ავალიშვილის, შალვა მაღლაკელიძის, გიორგი მაჩაბლის, გიორგი გვაზავას, რაფიელ ინგილოს, კალისტრატე სალიას და სხვათა არქივები. აღნიშნულ არქივებში დოკუმენტთა 90% არის ხელნაწერი (ავტოგრაფი), დანარჩენი 10% ნაბეჭდი სახითაა. ასევე, უნიკალური ფოტო-არქივი – 400 სამუზეუმო საქაღალდე. არქივში შედის პერსონალური (ცნობილი ემიგრანტები), ჯგუფური, თემატური, ნაკლებად ცნობილი ემიგრანტების ფოტოები (დედნები, ასლები, ნეგატივები); აუდიოთეკა – 325 ბაბინა და 40-ზე მეტი კასეტა. დაცულია რადიო „თავისუფლების“ მიერ 40 წლის მანძილზე გაშვებული გადაცემების ფონოკასეტები, რომლებზეც შემონახულია გრიგოლ რობაქიძის, ვიქტორ ნოზაძის,